თავისუფალი საქართველო

№24

2 - 8 ივლისი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის შეფერხების მიზნით, ქვეყნის კრიმინალიზაციის მესვეურებმა შეთითხნილი ბრალდებით დაპატიმრეს საქართველოს დევნილი უზენაესი საბჭოს წევრი მირიან წიკლაური.

აღვირახსნილი ცინიზმია თვითმარქვია პარლამენტის წევრების და ფსევდოპოლიტიკურ ორგანიზაციათა მიერ საქვეყნოდ ცნობილი 102 მილიარდის, სხვადასხვა კრედიტების მიტაცების, ჰუმანიტარული დახმარების მითვისების, პოლიტიკური რეკეტის, შეიარაღებული დაჯგუფებების განუკითხავი თარეშის ფონზე, სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის თავდადებული მებრძოლის, თხემით ტერფამდე უპატიოსნესი პიროვნების, მირიან წიკლაურის ხელი-

დეპუტატ მირიან წიკლაურის უკანონო დაპატიმრების შესახებ

სუფლებაში ყოფნისას ვითომდა გაფლანგვის ფაქტის დადასტურების საბაბით დაპატიმრება.

სინამდვილეში, უცხო ქვეყნის სამხედრო ძალის იმედად მყოფი ფაქტობრივი ხელისუფლება მირიან წიკლაურს ბრალად სდებს სამშობლოს სიყვარულს და ანგარიშს უსწორებს მას მისი ძმის, პოლიტპატიმარ ზაზა წიკლაურის მიერ საოკუპაციო რეჟიმის მხილებისთვის.

მირიან წიკლაურის დაპატიმრება პოლიტიკური ოპონენტებისადმი აშკარა ანგარიშსწორებაა, რითაც რუსეთის მეხუთე კოლონის წევრები საქართველოდან ცდილობენ ქართველ პატრიოტთა დაშინებას.

მოვითხოვთ მირიან წიკლაურისა და საქართველოს ციხეებში გამომწყვდეული ყველა პოლიტპატიმრის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დროებითი თავმჯდომარე
ბიძინა ჩოლოყაშვილი
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე მედეა თუშმალიშვილი
ასოციაცია "საფრანგეთ-საქართველოს" სახელით, ოთარ ზურაბიშვილი
ასოციაცია "კავკასიის" სახელით, თინა კერესელიძე

სერგეი კოვალიოვი მოითხოვს ბადრი ზარანდიას შეწყალებას

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, 1996 წლის 17 ივნისს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ქ. ზუგდიდის ყოფილ სამხედრო კომენდანტს, ბადრი ზარანდიას. ამავე პროცესზე კიდევ სამ ადამიანს მიესაჯა გრძელვადიანი პატიმრობა. ამავდროულად ექვსივე განსასჯელის საქმე, მათ შორის თვით ბადრი ზარანდიასიც, ხელახალ ძიებაში დაუბრუნეს. ჩემს ხელთ არსებული ცნობების თანახმად, სასიკვდილო განაჩენი ბადრი ზარანდიას მიმართ გამოტანილ იქნა საქართველოს რესპუბლიკის სსკ 65-ე მუხლის (სამშობლოს ღალატი) და 78-ე მუხლის (ბანდიტიზმი) საფუძველზე. ამასთან, 78-ე მუხლით წაყენებული ბრალდების პუნქტები დაბრუნეს ხელახალ ძიებაში 104-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წაყენებული ბრალდების პუნქტებთან ერთად.

რამდენადაც მე ვარ ინფორმირებული, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ძიების პროცესში სათანადოდ არ იყო დაცული კანონი. ჩემთვის აგრეთვე ცნობილი. გახდა, რომ თავად ბადრი ზარანდიას ფიზიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა და დიდი ხნის განმავლობაში იგი არ იღებდა აუცილებელ სამედიცინო დახმარებას.

თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმას, რომ ევროპის საბჭო, რომლის წევრიც საქართველო, იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში გახდება, დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში სიკვდილით დასჯა არ გამოიყენებოდეს.

ამიტომ მოგმართავთ თქვენ დაუინებული მოწოდებით - არ დაუშვათ ამ განაჩენის სისრულეში მოყვანა.

იმავდროულად გთხოვთ აგრეთვე შეიწყალოთ 1995 წლის 6 მარტის განაჩენით სიკვდილმისჯილები - ირაკლი დოკვაძე და პეტრე გელბახიანი, რომელთა დასაცავად მე ადრეც გამოვსულვარ.

სახელმწიფო დუმის დეპუტატი
ს. ა. კოვალიოვი

25 ივნისი, 1996

სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ

მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტებსა და მთავრობებს
საერთაშორისო ორგანიზაციებს
მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს
კეთილი ნების ყველა ადამიანს

საქართველოს მოქალაქეების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების
მიმართვა

დღეს მთელი ცივილიზებული სამყარო იბრძვის ისეთი არაჰუმანური პროცედურის გაუქმებისთვის, როგორიცაა ადამიანის სიკვდილით დასჯა.

ამის საპირისპიროდ, საქართველოში იმატა სასიკვდილო განაჩენების რიცხვმა. ბოლო ხანს აგრეთვე იკვეთება მკაფიო ტენდენცია პოლიტიკური ოპონენტების მიმართ სასიკვდილო განაჩენის გამოტანისა ისეთი ზოგადი ბრალდების საფუძველზე, როგორიცაა სამშობლოს ღალატი (საქართველოს სს კოდექსის 65-ე მუხლი).

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გაძლიერდა საყოველთაოდ აღიარებულ სამოქალაქო უფლებათა შელახვა, ადამიანისადმი განსაკუთრებული სისასტიკით მოპყრობა და უსამართლობა; აგრეთვე დამკვიდრდა, საგამომძიებლო ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების გამოყენებით, უხეში სამართალდარღვევების, ბრალდებულის კანონიერ უფლებათა შელახვის დანაშაულებრივი პრაქტიკა.ამ პრობლემათა ფონზე, სასამართლოს ვერდიქტი, ნაცვლად სამართლიანი განაჩენისა, ხელისუფლებისთვის არასასურველ პირებთან ანგარიშსწორებისა და წინასწარგამიზნული მკვლელობის სახეს ატარებს.

ჩვენ, საქართველოს საზოგადოებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები, მივმართავთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები და სამართლიანობის პრინციპები და მოვითხოვთ:

საქართველოში გაუქმდეს სიკვდილით დასჯა!
დაუყოვნებლივ შეჩერდეს ყველა სასიკვდილო განაჩენის აღსრულება!

მოუწოდებთ კეთილი ნების ყველა ადამიანს, შემოუერთდნენ ჩვენს მოთხოვნას, რათა მოახდინოთ ზემოქმედება საქართველოს ხელისუფლებაზე ამ არაჰუმანური პროცედურის გასაუქმებლად.

ოლღა დემურია-კოსტავა, მუხრან მაჭავარიანი, გიორგი ოჩიაური, ლია ანდღულაძე, ზურაბ ტაბიძე, მარიკა აბაიშვილი, დარეჯან სირია, ველოდი მირცხულავა, გურამ ისაკაძე, ზურაბ ძოწენიძე, დალი გერმანიშვილი, ავთანდილ დავითაია, თეიმურაზ ჯანელიძე, ჯემალ გოლეთიანი, ლია ბერუაშვილი, რობერტ ჰეტრიაშვილი, გურამ მაქაცარია, ირაკლი ჩხეიძე, ნოდარ უღრელიძე, ლევან კიკვაძე, ლალი ლომაძე, მალხაზ ხუციშვილი, დალი კუკულაძე, გურამ მუმლაძე, მაია კერესელიძე, ჯემალ იონათამიშვილი, ბიძინა დანგაძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი, თეიმურაზ რეხვიაშვილი, გიორგი მაყაშვილი, ზურაბ ურუშაძე, იოსებ ბარათაშვილი, ნუგზარ წიკლაური, ნონა დოჭვირი, ირაკლი ოჩიაური, ზურაბ წულაია, ზურაბ კვარაცხელია, გიორგი ბერუაშვილი, ბეჟან ჯავახია, მურმან მზარელუა, ნანა კაჭაბავა, ზურაბ ჯავაშვილი, ვახტანგ კეკელია, მალხაზ გაბელაია, ლეილა ცომაია, ეთერ მგალობლიშვილი, შოთა კიკნაძე, მანანა მელაძე, კლარა შუკვანი, ეთერ მდივნიშვილი, ლევან ურუშაძე, აულა გიგაური, ანდრო სალაყაია, გიორგი კობახიძე, ბესარიონ არობელიძე, ქეთევან ქურდოვანიძე, დოდო რეხვიაშვილი, დალი აბულაძე, ნათელა ბახტაძე, ზვიად ბაბეური, ელზა ცერცვაძე, მიხეილ დათაშვილი, ზურაბ ქსოვრელი, მამუკა ხუციშვილი, ნანა ლეჟავა, ელენე აბაშიძე, ლამარა დოლიძე, ლულუ კოპალეიშვილი, ეკა ეგაძე, რუსუდან თორღვაშვილი, ელიზა გომარელი, ლეილა ხიჯაკაძე, ლაურა ხიზანიშვილი, ნანა შათირიშვილი

საქართველოს ჰელსინკის კავშირი, ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირი, ნაციონალ-კონსერვატიული პარტია, ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საზოგადოება, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება, საქართველოს კონსერვატიული ლიგა, ზვიადის პარტია

(ხელმოწერები გრძელდება)

"ემნისთი ინთერნეშნლ" ბადრი ზარანდიას გადასარჩენად

გადაუდებელი აქცია - URGENT ACTION

1996 წლის 17 ივნისს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკის, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა პოლიტპატიმარ ბადრი ზარანდიას.

მას არ აქვს აპელაციის უფლება. ზარანდიას რჩება ერთადერთი საშუალება - შეწყალების თხოვნით მიმართოს პრეზიდენტ შევარდნაძეს. არაოფიციალური ინფორმაციების თანახმად, ბადრი ზარანდიას და მასთან ერთად გასამართლებულ ხუთ სხვა პიროვნებას აწამებდნენ აღიარებების გამოძალვის მიზნით. ზარანდიას პატიმრობის დროს მოჰკვეთეს ფეხი. "ემნისთი ინთერნეშნლ", ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია იმის საფუძველზე, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა წარმოადგენს სიცოცხლის უფლების ხელყოფას. მოცემულ შემთხვევაში საერთაშორისო ნორმების დარღვევა იმაშიც გამოიხატება, რომ პატიმრებს ჩამორთმეული აქვთ სასიკვდილო განაჩენის უფრო მაღალ ინსტანციაში გასაჩივრების უფლება.

დაწვრილებითი ინფორმაცია

ბადრი ზარანდია არის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი. უკვე დევნილობაში მყოფ პრეზიდენტს 1993 წელს ჰქონდა წარუმატებელი მცდელობა, კვლავ დაბრუნებულიყო ხელისუფლების სათავეში. მისმა მხარდამჭერებმა იოლად დაუქვემდებარეს თავის კონტროლს დასავლეთ საქართველოს მხსნელი რაიონები. ქალაქ ზუგდიდის ყოფილ კომენდანდანტს, ბადრი ზარანდიას მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა ღალატისთვის, რაც გამოიხატებოდა 1993 წლის ამბოხებაში მისი მონაწილეობით. ხუთ დანარჩენ თანაგანსასჯელს მიუსაჯეს თავისუფლების აკვეთა 13-დან 15 წლამდე. 1992 წელს საქართველოში გაუქმდა სიკვდილით დასჯა, მაგრამ 1994 წელს მაინც იყო სიკვდილით დასჯის რამდენიმე შემთხვევა, ხოლო 1995 წელს, ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, აღდგენილ იქნა სასჯელის უმაღლესი ზომა. იმ წელს, არაოფიციალური წყაროების თანახმად, სულ ცოტა, 18 ადამიანს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი იანვრიდან ოქტომბრამდე, 8 შემთხვევაში განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი. როგორც ამბობენ, 1995 წლის ნოემბრის მდგომარეობით, დაახლოებით 28 პატიმარი ელოდება განაჩენის აღსრულებას.

რეკომენდაციები მოქმედებისთვის

გააგზავნეთ ტელეგრამები, ფაქსები, წერილები ინგლისურად, რუსულად ან თქვენს მშობლიურ ენაზე მოთხოვნით, რომ შეცვლილ იქნეს ბადრი ზარანდიას სასიკვდილო განაჩენი. მოითხოვეთ, რომ ჩატარდეს ბადრი ზარანდიას და მის თანაგანსასჯელთა მიმართ გამოტანებული წამების ფაქტების მეუკრძალებელი გამოძიება. გამოძიების რეზულტატები გახდეს საჯარო განცხადების საგანი, რათა პატიმართა წამებაში მხილებული დამნაშავეები წარდგნენ მართლმსაჯულების წინაშე. მოითხოვეთ, რომ განსასჯელთა მიმართ დაცულ იქნეს საერთაშორისო სამართლით გარანტირებული აპელაციის უფლება.

1996 წლის 21 ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორუფცია კორუფციის წინააღმდეგ

გასული კვირის სენსაციამ - კონტროლის პალატის თავმჯდომარის, რევაზ შავიშვილის პოსტიდან სკანდალურმა გადადგომა-არგადადგომამ (შეგირდმა, უფრო მოკრძალებულ ფორმებში, გიმეორა ოსტატის საუკეთესო კულბიტი - საკუთარი გადფურთხებულის საჯაროდ ალოკვა!), საკმაოდ საინტერესო გაგრძელება ჰპოვა: ორიოდ დღის შემდეგ ახალგაზრდა "მოქალაქეების" ლიდერმა, კორუფციის ფაქტების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ბარამიძემ, საფაქტების შემსწავლელი კომისია და მის თავმჯდომარედ ირჩევენ ზემოხსენებულ პერსპექტიულ ახალგაზრდა "მოქალაქეს". ამდენად, ახალი თაობის "მოქალაქეები" აშკარად გააქტიურდნენ, ხოლო "ძველებმა" - პასივში გადაინაცვლეს.

შავიშვილის არშესრულებული დაპირება გადადგომის თაობაზე, როგორც ჩანს, გამოძახილია შიდა პროცესების, რომელთა არსი ყველასთვის ნათელია, თუმცა კონკრეტულ პერიპეტიებში ვერავინ გარკვეულა, შესაძლოა, თავად პარლამენტარებიც კი.

შევარდნაძის გუნდში დაპირისპირება გაფორმდა და პირობითად - თაობათა ბრძოლის სახე მიიღო

ტროლის პალატაში შავიშვილის დაბრუნების პარალელურად, ლეკიშვილის სახელი უკვე მაღალი ტრიბუნდანაც გაისმა.

ამ მოვლენებს საინტერესო წინაისტორია აქვს. ჯერ კიდევ სასტიკი ზამთრის დადგომამდე, დასავლეთის რიგ საინფორმაციო საშუალებებში ლეკიშვილის გვარი საკმაოდ ხშირად ფიგურირებდა: მას, ფაცაციას მთავრობის ზოგიერთ წევრთან ერთად, ასახელებდნენ საქართველოს მილიონერთა ათეულში. გამყინვარების დაწყებისთანავე, ტენდენცია გაღრმავდა და უკვე აშკარა სინდრომის სახე მიიღო. რადიო "თავისუფლების" ერთ-ერთი რეპორტაჟიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ წყდიადით მოცულ თბილისში მხოლოდ ლეკიშვილისა და მენაღარიშვილის ფანჯრები იყო განათებული. თუ გვახსოვს, აღშფოთებულმა თბილისელებმა "მერიკოს" საპროტესტო აქციაც კი მიუწყვეს კარგარეთელის ქუჩაზე, სახლის წინ.

ყოველივე ამას კი წინ უძღოდა პარლამენტის კულუარებში ვერმიჩქმალული სკანდალი ლეკიშვილსა და ზურაბ ჟვანიას შორის, და ამ უკანასკნელის "შემკობა" ტელევიზიის შეფის, არჩილ გოგელიას მიერ.

შევარდნაძისტების ამ შიდაპარტიული გარჩევების პარალელურად იქმნება სწორედ კორუფციის

რუსეთი უკვე თავდაცვის მინისტრს ელის

როდიონოვის ნიჩაბი კვლავ დამოკლეს მახვილივით კიდია საქართველოს ცის კაბადონზე

დამოუკიდებელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პაველ გრაჩოვის გადადგომის შემდეგ რუსეთის თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე დასახელებულ კანდიდატთა შორის ერთ-ერთი ყველაზე რეალურია (თუ არა ერთადერთი), უმაღლესი სამხედრო აკადემიის რექტორი, გენერალი როდიონოვი, რომელიც ავღანეთის ომის პერიოდში ხელმძღვანელობდა ცნობილ მე-40-ე არმიას, ხოლო 1989 წლის 9 აპრილს თბილისში, მთავრობის სასახლის წინ - მშვიდობიან დემონსტრანტთა დარბევას.

მიუხედავად ამისა, რუსი სამხედროები მისი ბიოგრაფიის ამ სახელოვან ეპიზოდებს არ მიიჩნევენ ხელისშემშლელ ფაქტორად. პირიქით, როდიონოვი თურმე დიდი პოპულარობით სარგებლობს ახალი თაობის გენერალთა შორის და სადღეისოდ მნიშვნელოვნად უსწრებს წინ გენერალ გრომოვს, თავის მემკვიდრეს იმავე მე-40-ე არმიის მეთაურის პოსტზე. სწორედ გრომოვს ხვდა წილად ამ არმიის გამოყვანა ავღანეთიდან და ერთ დროს მას პოპულარობით ძნელად თუ ვინმე შეედრებოდა.

არის კიდევ ერთი კანდიდატი - შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი კოლესნიკოვი. მაგრამ როდიონოვი, მასთან შედარებითაც, უფრო სასურველ კანდიდატად ითვლება, თუმცა კოლესნიკოვსაც საკმაოდ დიდი დამსახურებები აქვს რუსული "დერეკავის" წინაშე - თუნდაც 1993 წლის სექტემბერში სოხუმის აღების გეგმის დამუშავება და განხორციელება.

ცხადია, დღეს რუსეთში მაინც მოქმედებს გარკვეული "პროდემოკრატიული კონიუნქტურა", რომლის თანახმად, მშვიდობიან მომიტინგეთა ნიჩბებით ჩეხვა დიდად მოსაწონ საქციელად ვერ ჩაითვლება და, ზოგადად, 9 აპრილის ექო ჯერ კიდევ არ მიმქრალა. მაგრამ ამჯერად ყურადღებას ამ მოვლენების სხვა ასპექტებიც იპყრობს. კომენტატორები აღნიშნავენ კიდეც - რა უნდა მოსთხოვო გენერალს, რომელიც სხვის ბრძანებას ასრულებდა, როდესაც დღემდე უცნობია, თუ ვინ მიიღო გადაწყვეტილება კრემლში და გასცა განკარგულება მშვიდობიანი ხალხის დარბევის თაობაზე.

საფიქრალია, რუსეთის თავდაცვის მინისტრად გენერალ როდიონოვის დანიშვნის შემთხვევაში, ეს კითხვა დამოკლეს მახვილივით დაეკიდება საქართველოს თავზე და რუსეთის ისედაც გადამეტებულად მორჩილი შევარდნაძე ყველაზე უხერხულ პირუეტებზე დათანხმდება იმ პირობით, რომ არ გაცხადდეს ამ საკრალურ კითხვაზე პასუხი.

საფიქრალია, რომ ძველი პარტნიორების მომავალი ურთიერთობები დიდ უსიამოვნებებს უქადის არა იმდენად შევარდნაძეს, რამდენადაც მისი ძველი თუ ახალი ცოდვების მძევლად ქცეულ საქართველოს.

მამუკა ტუსიშვილი

ეუთო-მ არ ცნო ჩეჩნეთში ჩატარებული არჩევნები

ჩეჩნეთის პრობლემის გადაჭრას, როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლება, საპრეზიდენტო არჩევნების ნებისმიერი შედეგებით დასრულების შემთხვევაში, კვლავინდებურად ძალისმიერ მეთოდებზე დაყრდნობით შეეცდება. მიუხედავად იმისა, რომ ნაზრანში მიმდინარე მოლაპარაკებებზე მიღწეული შეთანხმებების შესრულებისთვის რუსეთის დღევანდელი პრეზიდენტი ძალღონეს "არ იშურებს" და გარეგნულად თითქოს ყველაფერს აკეთებს მოლაპარაკებათა პროცედურის გაგრძელებისთვის, ჩეჩნეთში მოვლენები ისე ვითარდება, როგორც მოლაპარაკებათა დაწყებამდე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რუსეთის ხელისუფლება ამჯერად სულ უფრო ნაკლებ სიმპათიებს ავლენს თავისი მარიონეტის - დ. ზავგაევის მიმართ და, შესაბამისად, სულ უფრო ნათლად იკვეთება ამ უკანასკნელის არცთუ სახარბიელო მომავალი...

რუსეთის საინფორმაციო საშუალებები უკვე აშკარად სდებენ ბრალს ზავგაევს მოლაპარაკების პროცესის ჩაშლის მცდელობაში, მიღწეულ შეთანხმებათა სრულ იგნორირებაში... ვარაუდობენ, რომ ამგვარი მოქმედების უფლებასა და საშუალებას ზავგაევს აძლევს გარკვეულ ძალთა მხარდაჭერა რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. თავად ის ფაქტი, რომ ჩეჩნეთში "ჩატარდა" არჩევნები, ეწინააღმდეგება 10 ივნისს ნაზრანში მიღწეულ შეთანხმებას, რომლის თანახმად, არჩევნების ჩატარების წინაპირობა უნდა ყოფილიყო რუსეთის ჯარების გაყვანა ქვეყნის ტერიტორიიდან.

აღსანიშნავია, რომ ეუთო-მ არ ცნო ჩეჩნეთში ჩატარებული არჩევნების სამართლიანობა. "იგი არ შეესაბამებოდა თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების პრინციპებს" - ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში. ამგვარი დასკვნა არჩევნების შესახებ, უპირველეს ყოვლისა, ზავგაევის პოლიტიკური კარიერის დასასრულის მომასწავებელია. მსგავსი დასკვნა აღნიშნულ ორგანიზაციას არ გაუკეთებია ჩეჩნეთში ცოტა ხნის წინათ ჩატარებული არანკლებ არასამართლიანი, არადემოკრატიული და არათავისუფალი არჩევნების შესახებ, რომლის შედეგადაც დ. ზავგაევი ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაურად მოინათლა. როგორც ჩანს, რუსეთის "დემოკრატიული" ხელისუფლება, საბოლოო გამარჯვების შემთხვევაში, თავის გვერდით "ვეღარ აიტანს" არჩევნების გამჭალბებელსა და ფალსიფიკატორს.

ზავგაევის პოლიტიკური არენიდან ჩამოშორების გზაზე პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა - დღეს ხმამაღლა ლაპარაკობენ მის კომუნისტურ წარსულზე, გკჩ-სადმი მხარდაჭერაზე, არაორაზროვნად მიუთითებენ, რომ ზავგაევს მხარს უჭერს ჩეჩნეთის კომუნისტური პარტია, რომელიც რუსეთის კომპარტიის ნაწილად მოიაზრებს თავს. ჩეჩენი კომუნისტების მიმართვაში ჩეჩენი ხალხისადმი ნათქვამია, - "ჩვენ გვყავს ხალხის მიერ არჩეული რესპუბლიკის მეთაური, სტაბილიზაციას კი ხელს უშლიან სწორედ რეაქციული ძალები, კრიმინალური ბურჟუაზია..."

მოგეხსენებათ, ძალზე ხშირად, სწორედ კომუნისტებთან ალიანსში მხილებით იწყებენ "დემოკრატები" თავიანთ თანამებრძოლთა ჩამოშორების პროცესს. რაც შეეხება კომუნისტებისა და ზავგაევის მომავალ ურთიერთობას, ვარაუდობენ, რომ მათ არ გაუჭირდებათ საერთო ენის გამონახვა, ვინაიდან დოკუ გაპუროვიჩის ღირსებას მათ თვალში არავითარი ჩრდილი არ მისდგომია - "იგი მხოლოდ კოცნდა ხოლმე ელცინს" - აღნიშნავს კომუნისტთა ერთ-ერთი ლიდერი, ვ. ანპილოვი.

რამდენადაც დ. ზავგაევის მთავარ ბრალდებად, ჭერჭერობით, ნაზრანის მოლაპარაკებათა ჩაშლის მცდელობას ასახელებენ, იქვე არაორაზროვნად მიუთითებენ მის ალიანსზე ე.წ. "ომის პარტიასთან", მის ერთ-ერთ ლიდერთან - ა. ლობოვთან. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, კვლავ რჩება "შიდაჩეჩნური დიალოგის" მომხრედ.

რაც შეეხება თავად ბ. ელცინის დამოკიდებულებას ჩეჩნეთის კონფლიქტისადმი, იგი კვლავ წინასაარჩევნო პროპაგანდის ჩარჩოებშია მოქცეული. თვით ის ფაქტი, რომ დღეს მოლაპარაკებათა შესაძლო ჩაშლის მიზეზად ზავგაევის არასდროს არაარსებულ პოლიტიკურ ფაქტორს ასახელებენ (მაშინ, როდესაც ჩეჩნეთში ისევ გრძელდება საომარი მოქმედებები და ნაკლებსავარაუდოა, დ. ზავგაევი ამ მოკლე დროში ისე მოძლიერებულიყო, რომ ფედერალურ ჯარებზე კონტროლის დაწესება მოეხერხებინა), მიუთითებენ იმაზე, რომ ელცინი, ხელმეორედ გაპრეზიდენტების შემთხვევაში, "მტრული ძალების" ფაქტორის მოშველიებით, გააგრძელებს ძველ გზას, ჩეჩნეთის პრობლემის მოსაგვარებლად, მითუმეტეს, რომ მისი ახლად გამოჩეკილი მოკავშირე - გენერალი ლებედი, რომელმაც ორჯერ აიმაღლა სამხედრო ჩინი დნესტრისპირეთსა და ბაქოში ადამიანთა მიმართ გამოჩენილი სისასტიკით, ამჯერადაც ძალისმიერ მეთოდებზეა ორიენტირებული და, წინამორბედისგან განსხვავებით, სულაც არ ცდილობს, გარეგნულად მაინც, "დემოკრატად" დაიჭიროს თავი.

ჩეჩნეთში კი სიტუაცია კვლავ დაძაბულია. ფედერალური ჯარები გამუდმებით არღვევენ ნაზრანში მიღწეულ შეთანხმებას. რამდენიმე დღის წინ რუსეთის ჯარის კოლონამ სოფელ ძველი ატაგის მახლობლად ცეცხლი გაუხსნა ადგილობრივ თავდაცვის რაზმს. ბრძოლა ორ საათს გაგრძელდა... რუსი სამხედროები ბომბავდნენ ჩეჩნეთის მთიან სოფლებს. რამდენიმე დღის წინ მათ იერიში მიიტანეს სოფელ გაისკოეზე; თუმცა, უნდა ითქვას, რომ დღეს ისინი კიდევ უფრო დემორალიზებულნი და გატეხილნი არიან. შედეგებიც შესაბამისია - მათ რიგებში სისტემატურად მატულობს დანაკარგები.

ახლა ფედერალურ ჯარებს და რუსეთის ხელისუფლებას ერთადერთი საზრუნავი აქვთ - როგორმე ამოსუნთქვის და ძალების ხელახლა მოკრების საშუალება არ მისცენ მოწინააღმდეგეს, რომელიც უთუოდ გრძნობს ამის საჭიროებას, ვინაიდან გამოცდილებამ გვასწავლა, რომ რუსეთთან "სამშვიდობო" მოლაპარაკებებს ახალი, სისხლისმღვრელი ბრძოლები მოსდევს.

ნუგზარ წიკლაური

«ემნისთი» ცნობს საქართველოში პოლიტპატიმრების არსებობას

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია "ემნისთი ინთერნეშნლ"-ის მონაცემებით (1996 წლის ანგარიში), შარშან, მთელი წლის მანძილზე, აფხაზეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გრძელდებოდა ეთნიკურ ქართველთა შევიწროება, დევნა, წამება, მკვლელობები. ორგანიზაციის მონაცემებით, რომლებიც ძირითადად გაერო-ს მისიის დამკვირვებელთა ჩვენებებს ეყრდნობა, ამ პერიოდში მოკლულია, სულ ცოტა, 13 ქართველი, ხოლო ნაწამებთა რიცხვმა ათეულებს გადააჭარბა. გაერო-ს მისიის ექიმთა თქმით, მათ ათი ცხედარი მაინც ექნებათ ნანახი წამების საშინელი კვალით - ღია ჭრილობები, დამწვრობები, დამძვრალი ფრჩხილები.

"ემნისთი ინთერნეშნლ"-ის მონაცემებით, შარშან სიკვდილმისჯილ რუზგენ გოგოხიას ბედი დღემდე უცნობია: ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, იგი ჯერ არ უნდა იყოს დახვრეტილი.

აღსანიშნავია, რომ "ემნისთის" ბოლოდროინდელ დოკუმენტებში პოლიტიკური მოტივებით გასამართლებული ქართველი მსჯავრდებულები პოლიტპატიმრებად მოიხსენიებიან, რაც ერთხელ და სამუდამოდ უსვამს წერტილს დავას იმის გარშემო, არიან თუ არა საქართველოში პოლიტპატიმრები.

სასამართლო საოკუპაციო რეჟიმის ძალადობის იარაღს წარმოადგენს

ბიძინა გუჯაბიძე, დაბადებული 1956 წელს, პროფესიით იურისტი, ეროვნული ხელისუფლების განდევნამდე მუშაობდა ლანჩხუთის რ-ნის პრეფექტურის განყოფილების გამგედ. 1993 წელს, დასავლეთ საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის ხანმოკლე პერიოდში, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დანიშნა ლანჩხუთის რ-ნის მმართველად. დააპატიმრეს 1994 წლის 25 იანვარს. ორი წლის პატიმრობის შემდეგ მას მიუსაჯეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამჟამად იგი რუსთავის №1 კოლონიაში იმყოფება.

კორესპონდენტი: - ბ-ნო ბიძინა, რა ვითარებაში მოხდა თქვენი დაპატიმრება?

ბიძინა გუჯაბიძე: - კანონიერი ხელისუფლების მეორედ დამხობის შემდეგ ციმყოფებოდი ს. სართიჭალაში, სიმამრის ოჯახში. იქაურმა მეზობელმა - სუკ-ის თანამშრომელმა ნ. ჩადუნელმა, თავის კოლეგებთან ერთად, ყოველგვარი სანქციის წარდგენის გარეშე დამატყვევა. მომათავსეს თბილისის სამხედრო კომენდატურაში.

კორ. - როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, უამრავი უხეში საპროცესო დარღვევებით წარიმართა. ყველა მათგანს ვერც კი ჩამოვთვლი, თუმცა ყველაფერი დაფიქსირებული მაქვს. აღვნიშნავ ზოგიერთ მომენტს: წელიწად-ნახევარი უსანქციოდ ციმყოფებოდი პატიმრობაში, ხოლო შემდეგ რატომღაც ოზურგეთის რ-ნის პროკურატურის მიერ სხვა პიროვნების სახელზე გაცემული დაპატიმრების სანქცია ჩაკერეს საქმეში. უამრავი შემთხვევაა წინასწარი ძიების მასალების გაყალბებისა. სხვათა შორის, მოთხოვნის მიუხედავად, არ გამაცნეს სასამართლო სხდომის ოქმებიც. ეჭვი მაქვს, რომ იქაც ბევრი სიყალბე იქნება, ამას განაჩენის შინაარსიც მაფიქრებინებს. მოსამართლე სადაგლიშვილი წარმატებით ითავსებდა ბრალმდებლის ფუნქციებსაც, თუმცა იმას ვერ დავუკარგავ, რომ მან ორი მნიშვნელოვანი "შეღავათი" გამიწია: ერთი ის, რომ განაჩენით ამაცილა "ჩვენი ბანდის" ანუ ეროვნული გვარდიის შექმნის ბრალდება და მხოლოდ მისი წევრობა მაკმარა და მეორეც - მოსამართლე ჩემს სასარგებლოდ კანონის დარღვევასაც კი არ მოერიდა და სამშობლოს მოღალატისთვის განკუთვნილი მკაცრი რეჟიმის ნაცვლად, უფრო მსუბუქი მომისაჯა - გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში გამამწესა სულ რაღაც ათიოდე წლით.

კორ. - პოლიტიკურ პროცესებზე გამოიკვეთა წაგულისხმო ტენდენცია - ბრალდებათა უმრავლესობა ზოგადი, არაკონკრეტული ხასიათისაა, რაც სამართალწარმოებაში ბრალდების სერიოზულ ნაკლად ითვლება...

ბ.გ. - მართალია, არც ჩვენს შემთხვევაში დაურღვევიათ ეს ტრადიცია. უფრო მეტიც, ამ უკანონო ბრალდებებს არამარტო კონკრეტულობა აკლია, ისინი პერსონიფიცირებულიც კი არ არის. რად ღირს თუნდაც იმ ცნობილი ძროხის ამბავი, რომლის მკლელობა მთელს ეროვნულ პოლიტიკურ და სამხედრო ელიტას ედება ბრალად. არადა, პროკურატურას იმ გარდაცვლილი პირუტყვის დაკითხვა რომ მოეხდინა (ამის უნარი კი მას, როგორც დავრწმუნდით, ნამდვილად შესწევს), ვინ იცის, იქნებ ამ უდანაშაულო მსხვერპლს ხუნტის ავიაცია ემხილებინა.

კორ. - როგორც ვიცით, ანალოგიური ბრალდებებით, თქვენთან ერთად გაასამართლეს ოზურგეთის მკვიდრი მირიან ხინთიბიძე.

ბ.გ. - მირიანის გასამართლებაც ასევე უკანონოდ მოხდა. ის კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელია, მისი "დანაშაული" მხოლოდ ის არის, რომ არ უღალატა პრეზიდენტისა და ქართველი ხალხისთვის მიცემულ ფიცს და პროკურატურის მიერ შეთავაზებულ მონანიებას ხელი არ მოაწერა.

კორ. - რამდენი წელი მიუსაჯეს ხინთიბიძეს და სად იმყოფება ის ამჟამად?

ბ.გ. - მასაც 10 წელი მიუსაჯეს და ამჟამად რუსთავის №2 კოლონიაში იხდის სასჯელს.

კორ. -- ამ ქაოსიდან და უსამართლობიდან რა გამოსავალს ხედავთ?

ბ.გ. - ამ ქაოსსა და უსამართლობას თავისი საფუძველი, მიზეზი აქვს - ჩვენ ხომ დაპყრობილი ქვეყანა ვართ და მდგომარეობაც შესაფერისი გვაქვს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა გრძელდება და გამოსავალიც ერთადერთია - დამპყრობლის და მისი ადგილობრივი მარionეტული მმართველობის განდევნა და კანონიერიეროვნული ხელისუფლების აღდგენა.

ინტერვიუ პოლიტპატიმარ ბიძინა გუჯაბიძესთან

თქვენ სამშობლოს ღალატში გდებენ ბრალს.

ბ.გ. - წინასწარი გამოძიების პერიოდში პროკურატურამ ბრალდებათა მრავალი კომბინაცია მოსინჯა და ბოლოს, ძიების ორი წლისთავზე "აღმოაჩინა", რომ სამშობლოს მოღალატე და ბანდიტი ვყოფილვარ.

კორ. - თქვენ როგორ შეფასებას აძლევთ პროკურატურის ამ "აღმოჩენას"?

ბ.გ. - არც ეს ბრალდებები და არც ჩემი დატყვევება არ ყოფილა ჩემთვის მოულოდნელი. დამნაშავე ხელისუფლებისა და მისი მორჩილი ე.წ. სამართალდამცავებისგან სხვა ქმედებას არც ველოდი. ეს იყო ლოგიკური გაგრძელება "გამარჯვებულთა" მძლავრობისა ხალხის რჩეული ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ, ე.ი. კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა და მათ მომხრეთა გასამართლება სამშობლოს ღალატისა და სხვა ბრალდებებით არის პუტჩისტთა მიერ ქართველი ხალხის მიმართ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულობების ჩვენზე გადმობრალების უსუსური მცდელობა.

კორ. - თქვენი საქმე უზენაესმა სასამართლომ რატომღაც თბილისიდან ლანჩხუთში გადაიტანა.

ბ.გ. - მოსამართლე ლ. საძაგლიშვილი ამას მრავალრიცხოვან მოწმეთა თბილისში ჩამოყვანის სირთულით ასაბუთებდა, მაგრამ კოლეგიამ მხოლოდ ბრალმდებლის მიერ შერჩეული მოწმეები დაკითხა, თუმცა მათი ჩვენებებითაც კი მხოლოდ ბრალდების უკანონობა და უსაფუძვლობა დადასტურდა. სინამდვილეში, პროცესის დედაქალაქიდან რაიონში გადატანა ორ მიზანს ემსახურებოდა: ფაქტობრივმა ხელისუფლებამ, ერთი მხრივ, სცადა საზოგადოებისგან დაეფარა წინასწარი გამოძიების აშკარა უკანონობანი, რაც უთუოდ გამომჟღავნდებოდა სასამართლო განხილვისას, და მეორეც, ხელისუფალთ სურდათ თბილისის განტვირთვა მომრავლებული პოლიტიკური სასამართლო პროცესებისგან.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი დაპატიმრება და წინასწარი ძიება, ისევე, როგორც სასამართლო, უკანონო და უზნეო იყო, მე პროცესში მონაწილეობა მაინც მივიღე ერთადერთი მიზნით- კიდევ ერთხელ მხილებულიყო ფაქტობრივი ხელისუფლების უკანონობა და ის, რომ პროკურატურა და სასამართლო ხელისუფლება წარმოადგენენ საოკუპაციო რეჟიმის ძალადობის იარაღს.

სხვათა შორის, ალბათ, მაგლობელი უნდა ვიყოთ ჩემი დაპატიმრებისა და ლანჩხუთში გასამართლებისა. ამით საშუალება მომეცა, რ-ნის ერთადერთ კინოდარბაზში, სადაც პროცესი მიმდინარეობდა, სისტემატურად შეეხვედროდი ჩემი კუთხის მკვიდრთ და ორი თვის განმავლობაში მრავალი მიტინგი ჩამეტარებინა, რის საშუალებასაც ფაქტობრივი ხელისუფლება ციხის გარეთ ყოფნისას არ მომცემდა.

კორ. - ორიოდ სიტყვით, წინასწარი და სამსჯავრო გამოძიების შესახებ.

ბ.გ. - ისევე, როგორც სხვა პოლიტიკურ საქმეთა გამოძიება და სასამართლო, ესეც პროცესზე, 3 ივნისის სხდომაზე მოწმედ დაკითხული ხობის მცხოვრები ნატო შენგელია სულაც არ დუმდა, - როგორც ამას ამტკიცებს პრესა, - არამედ საკმაოდ შთამბეჭდავადაც ლაპარაკობდა და, "ზვიადისტების" მიერ დაშინებული რომ არ ყოფილიყო, ალბათ, კიდევ უფრო დამაჯერებლად მოუთხრობდა სასამართლოს, რომ 1993 წლის 28 ოქტომბერს, ხობში, სწორედ ვახტანგ ქობალიამ დახვრიტა ექვსი ტყვედ აყვანილი პიროვნება, მათ შორის ჟურნალისტი დავით ბოლქვაძეც.

ტელევიზიას არც ის დაუმალავს, რომ შენგელია, სანამ მოწმედ დაიკითხებოდა ძიების მიერ, დაპატიმრებული იყო როგორც "ზვიადისტი" და კანონიერი გვარდიის მედპერსონალის მუშაკი, რაც თავისთავად ბრალდების საწინააღმდეგო ფაქტს წარმოადგენს.

იქვე იქნა ნაჩვენები ძიების მიერ მისი დაკითხვის ვიდეოჩანაწერი, რომელზეც - ვადასტურებთ - მოწმე ნამდვილად ლაპარაკობდა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ეს ჩვენება ორატორული ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა. პირიქით, საბრალო ქალი ძლივს აბამდა სიტყვას სიტყვაზე და გვარიანად შეშინებულიც ჩანდა. სიუჟეტის ავტორებმა საგანგებოდ მიუთითეს, რომ სწორედ ამ დაკითხვის ვიდეოჩანაწერის ტელევიზიით გადაცემის შემდეგ (ძიების მსვლელობისას?!), ნატო შენგელიას სახლში შეუვარდნენ "ზვიადისტები" და დააწიოკეს. ამ შემთხვევაში საკითხავია, თავად ჩვენების მომენტში რითი იყო შეშინებული მოწმე და რატომ უჭირდა ლაპარაკი?

აღსანიშნავია, რომ წინა დღეს "ვიდეოპატრულმა" ამცნო საზოგადოებას, რომ უზენაესი სასამართლოს კოლეგიის წევრის, ალექსანდრე ალადაშვილის სახლის სადარბაზოში უპოვიათ ხელყუმბარა. ეს სწორედ ის ალადაშვილია, - საგანგებოდ მიუთითეს "ვიდეოპატრულის" ავტორებმა, - რომელიც თავმჯდომარეობს ლითი ქობალიას მიმართ ამჟამად მიმდინარე სასამართლო პროცესსო.

საფიქრალია, ეს მორიგი ინსინუაცია, ისევე, როგორც "ზვიადისტების" მიერ თითქოსდა მოწმეების დაშინება (რის შედეგადაც, თავად ტელეპროკურორების აღიარებით, ისინი თურმე მაინც ახერხებენ რადაცის თქმას!), ერთადერთ მიზანს ემსახურება - როგორმე იხსნას ჩიხში მოქცეული ბრალდების მხარე და საზოგადოების თვალში უზრუნველყოს ისედაც უკვე გამოტანილი განაჩენის დამაჯერებლობა.

ასე რომ, ხუნტის საუკეთესო ტრადიციების სამართალმემკვიდრე - პროკურატურა, ცდილობს, ტელევიზიით მაინც მოიგოს სასამართლო პროცესი.

პროკურატურა ტელევიზიით ცდილობს მოიგოს სასამართლო პროცესი

"1993 წლის 19 ოქტომბერს შეიარაღებულმა ბანდიტურმა ჯგუფებმა დაიკავეს სოფელი სუფსა, საყოფაცხოვრებო ფეხსაცმლის შემკეთებელი ჯიხურიდან გაიტაცეს სახელსნოში შესაკეთებლად მიტანილი მოქალაქეთა ფეხსაცმელები..." (ფრაგმენტი ბიძინა გუჯაბიძის განაჩენიდან, საქმე №2-142, 1996 წლის 14 მაისი, უზენაესი სასამართლოს გასვლითი სესია ლანჩხუთში, სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე ვ. საძაგლიშვილი, მსაჯულები დ.დოლიძე, ლ. ხულაძე).

ვინ არის ზვიად ძიძიგური?

საზოგადოებას არწმუნებენ, რომ იგი მკვლელი, ბანდიტი და სამშობლოს მოღალატეა, რომელმაც დაანგრია სამტრედია, გადაწვა სახლები და ა. შ. - ყველას კარგად გვახსოვს ეს სიტყვები. ამის დამტკიცებას ცდილობს პროკურატურის მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნაც.

ჩვენთან, რედაქციაში კი მოდის წერილები, რომელთა ავტორები უბრალო ადამიანები, სამტრედიის რაიონის მცხოვრებლები არიან. ისინი მოგვითხრობენ ზვიად ძიძიგურის - უზენაესი საბჭოს წევრის, სამტრედიის პრეფექტის შესახებ და გვთხოვენ, მათი აზრი მივაწვდინოთ მკითხველს.

"ყველა ზნეობრივი საშუალებით ვიბრძოლებ საქართველოს განთავისუფლებისთვის". - ეს იყო ზვიად ძიძიგურის წინასაარჩევნო პროგრამა და მისი ერთგული დღემდე რჩება ეს ახალგაზრდა კაცი. ტრიუმფალურად მოიგო მან ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები და, როგორც ღირსეული დეპუტატი, წარგზავნილ იქნა სამტრედიელების მიერ უზენაეს საბჭოში." - გვწერს ერთ-ერთი ჩვენი მკითხველი.

მართლაც, ზვიად ძიძიგურს სამტრედიაში თურმე სიყვარულით "პატარა ზვიადს" ეძახიან დღესაც. პრეფექტად იგი 1991 წლის თებერვალში დაინიშნა და ამ დროისთვის მას და მის მეგობრებს უკვე იცნობდნენ როგორც მთელი რიგი რეფორმატორული ცვლილებების ინიციატორებს. მათ ჯერ კიდევ მაშინ უწოდებდა "არაფორმალებს" კომუნისტური მმართველობა, როდესაც რესპუბლიკაში ლამის პირველებმა წამოიწყეს, ზვიად ძიძიგურის ძალისხმევით, გლეხური მეურნეობების ჩამოყალიბება და მისი პრეფექტად დანიშვნის შემდეგ ამ პროცესმა უფრო თანამიდევრული სახე მიიღო. აი, რას ამბობდა იმ დროს ზვიად ძიძიგური ერთ-ერთ ინტერვიუში:

"უნდა მივხედოთ ჩვენს აგრარულ სექტორს. აქ მომუშავე ადამიანებს უნდა მიეცეს მიწები პირად სარგებლობაში. ამიტომ გადაწყვეტილი გვაქვს, მასიურად ჩამოყალიბდეს გლეხური მეურნეობები. ჩვენი მიზანია მივაღწიოთ იმას, რომ შევძლოთ საკუთარი თავის გამოკვება და არ ვიქნებით სხვისი ხელის შემყურე. (...) ჩვენში გაუმართლებელი უწყებრივი პრაქტიკის შეცვლა ბევრს არ სურს. სამინისტროებში მოკალათებულ ადამიანებს ვერ წარმოუდგენიათ ჩვეული ფუნქციების დაკარგვა. არადა, საწარმოო დაწესებულებებს უნდა მიეცეს თავისი საქმიანობის ავტონომიურად წარმართვის საშუალება. ამიტომ უნდა დაიწყოს, რაც შეიძლება მალე, პრივატიზაცია."

ზვიად ძიძიგურის პრეფექტობის დროს დაიგეგმა სამტრედიაში მცირე ჰესების აგება მდინარე რიონზე და ამით, ფაქტობრივად, გადაწყდებოდა რაიონის მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების პრობლემა. ამისთვის უკვე გამოყოფილი იყო საჭირო თანხებიც...

იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა ეროვნული გვარდიის სამტრედიის ბატალიონის ჩამოყალიბებისთვის და ამიტომ განსაკუთრებით არ უყვარდათ პრეფექტი რაიონში განლაგებულ სსრკ-ს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელებს, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, დეკომოთ მათ მიერ დაკავებული ტერიტორიების ნაწილი და რაიონისთვის გადაეცათ.

იმავე დროს დაიწყო სამტრედიის ცენტრში ეკლესიის მშენებლობა - საფუძველი ჩაეყარა ტაძარს, მაგრამ გადატრიალების შემდეგ სამუშაოები შეჩერდა და დღესაც ისევეა მიტოვებული.

ყოველივე ეს საკმაოდ მძიმე დანაშაულად შეიძლება იქნეს მიჩნეული დღეს და უცნაურიც კი არის, რომ პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალდებებში არ ფიგურირებს.

რა აკლია საქართველოს სამოთხემდე?

ევროკავშირის დელეგაციამ ამ კითხვაზე პასუხი ვერ გასცა

27-28 ივნისს თბილისში ვიზიტით იმყოფებოდა ევროკავშირის ამიერკავკასიის კომისიის დელეგაცია, ბატონ ანტონიო თარაკატელის ხელმძღვანელობით. ოფიციალური პირების გარდა, დელეგაცია შეხვდა პარლამენტსგარე პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებს, თუმცა, როგორც 28 ივნისს პარლამენტის კინოდარბაზში მოწყობილ პრესკონფერენციაზე გაირკვა, რიგი არასაპარლამენტო პარტიებისა არც ინფორმირებულნი იყვნენ ამგვარი შეხვედრის თაობაზე და, შესაბამისად, არც მოწვეულნი, ხოლო ჟურნალისტები ამაოდ ცდილობდნენ დაედგინათ შეხვედრის ადგილი, ვინაიდან, გაურკვეველ მიზეზთა გამო, დიპლომატიურ აკადემიაში დანიშნული შეხვედრა ტრადიციონალისტთა ოფისში გადაუტანიათ.

პრესკონფერენციაზე ბ-ნმა თარაკატელიმ დასმული კითხვების საპასუხოდ აღნიშნა, რომ ევროკავშირი მზადაა დაამყაროს კონტაქტი ნებისმიერ სახელმწიფოსთან თუ პოლიტიკურ ძალასთან და იგი ღიაა ყველასთვის, ვინც აშენებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს და იცავს ადამიანის უფლებებს; რაც შეეხება საქართველოს ევროკავშირის ასოცირებულ წევრად მიღების შემთხვევაში რესეთთან ურთიერთობის გამწვავებას (ეს კითხვა აღელვებდათ რიგ ჟურნალისტებს), ევროკავშირი ვერ ეტყვის უარს ვერავის, ვისაც სურს მასთან თანამშრომლობა და ა.შ.

ამასთან დაკავშირებით, მეტად საგულისხმო იყო პარლამენტის ვიცე-სპიკერის, ევროკავშირთან ურთიერთობის დელეგაციის თავმჯდომარის, გიორგი კობახიძის კომენტარი: "ის, რომ ევროპა არის საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება, ამაში ახალი არაფერია. "ესენგე"-ში შესვლა, ყველასთვის ცნობილია, იყო იძულებითი ნაბიჯი - ამ შემთხვევაში მე ამას ვამბობ არა როგორც ოპოზიციონერი, არამედ ვეყრდნობი მაშინდელი სახელმწიფოს მეთაურის და დღევანდელი პრეზიდენტის განცხადებას".

ირაკლი გოცირიძე დაინტერესდა - საქართველოში არსებული ვითარებით საერთო კმაყოფილების მიუხედავად, ნახეს თუ არა სტუმრებმა რაიმე, რაც მათ შეშფოთებას იწვევს. დელეგაციის ხელმძღვანელის პასუხი მეტად არაარსებითი - მეტიც, არადაპლომატიური კი იყო - "ნუ მოითხოვთ სამოთხეს. ის, რაც დღეს არის საქართველოში, მკვეთრად განსხვავდება იმისგან, რაც ამ ცოტა ხნის წინ ხდებოდა..."

დროის სიმცირის თუ პრესკონფერენციაზე აღმოცენებულ საკითხთა სიმწვავის გამო, ჟურნალისტებს აგრძნობინეს, რომ სტუმრების წასვლის დროა. მხოლოდ ვიცე-სპიკერის გალანტურობამ მოგვცა საშუალება, ჩვენც დაგვესვა ჩვენთვის საინტერესო კითხვა: "თუკი ევროკავშირი ესოდენ დიდ ყურადღებას უთმობს ადამიანის უფლებათა დაცვას, რატომ არ იქნა გათვალისწინებული ვიზიტის პროგრამაში შეხვედრა ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან?" ბ-ნმა თარაკატელიმ აღიარა ეს უნებლიე დაუდევრობა და შეგვპირდა, რომ მომავალში ამგვარი შეხვედრა აუცილებლად მოეწყობა. ჩვენს მხრივ კი ბატონ თარაკატელის გადავეცით მიმდინარე პოლიტიკურ სასამართლო პროცესებზე IGFM/ISHR-ის ინდივიდუალურ წევრთა დაკვირვების შედეგების ანგარიში.

ა. ჭ

დუმდა თუ არა მოწმე ნატო შენგელია?

27 ივნისს ტელევიზიის პირველმა არხმა ლამის ნახევარსაათიანი სიუჟეტი მიუძღვნა ხობის მტკიცებას, რომ უზენაეს სასამართლოში მიმდინარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

ზვიად გამსახურდია

დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)

მერვე თავი
საქართველო-რუსეთის ურთიერთობიდან

დიდი ხნის წინათ ევროპის აღმოსავლეთით, კასპიისა და შავ ზღვას შორის, სახლობდნენ ხალხთა ტომები. მათ ქვეყანას ქართლი, ანუ საქართველო ეწოდებოდა. საქართველო ოდითგან უმდიდრეს სულიერ კულტურას ქმნიდა, რომლის გავლენა საცნაური იყო მის გარშემო მდებარე დიდ ქვეყნებზეც კი. რუსეთის რელიგიური ცხოვრება საუკუნეთა მანძილზე ქართული მართლმადიდებლური ტრადიციის გათვალისწინებით ყალიბდებოდა. ათონის მთაზე ქართველი ბერები თავიანთ სულიერ გამოცდილებას გადასცემდნენ რუს ბერებს, რამაც საფუძველი მოუმზადა მაღალი კულტურის მქონე რუსული მონასტრების შექმნას რუსეთის ტერიტორიაზე. ათწლეულების შემდეგაც ჩრდილოეთის ქვეყანაში კვლავ ცხოველმყოფელი რჩებოდა მათი სამხრეთით მცხოვრები მართლმადიდებელი ხალხის ცოდნა და რწმენა; ხალხისა, რომელსაც ღვთისმშობელმა თავისი კალთა გადაუფარა. ამ დიდი სულიერი კავშირების უტყუარი დასტურია მოსკოვის ერთ-ერთი დიდი ეკლესიის - სოკოლნიკის "ივერიის ღვთისმშობლის ხატი", რომელიც ათონის ივერთა ქართული მონასტრიდან არის ჩამოსვენებული. მონასტრის სახელწოდება წარმოსდგება საქართველოს ძველი სახელწოდებიდან - იბერია.

ერთ ძველ სლავურ ხელნაწერში, ამ ხატისადმი მიძღვნილ ლოცვაში, იბერია ღვთისმშობლის წილხვედრ მიწად მოიხსენიება. დღემდე მოსკოვის კრემლის ერთ-ერთ ჭიშკარს "იბერიის კარიბჭეს" უწოდებენ.

საქართველოს სულიერი ცხოვრების გავლენა რუსულ კულტურაზე ფართოდ აქვს გამოკვლეული პატრიარქ კირიონს თავის ნაშრომში "ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში." კირიონი 1917 წელს ეკურთხა პატრიარქად. ერთი წლის შემდეგ, 1918 წელს იგი მოკლეს.

საქართველოს და ქართველთა როლი რუსეთის ცხოვრებაში ოდენ რელიგიით არ შემოიფარგლებოდა. მოსკოვის უნივერსიტეტის დაფუძნების საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართველ უფლისწულს, გამოჩენილ გეოგრაფს - ვახუშტი ბატონიშვილს. მისი სახელი უნივერსიტეტის საპატიო დაფაზეც არის აღნიშნული.

რუსეთის ინტელიგენცია მადლიერებით იხსენებს დავით არსენიშვილს, რომელმაც რევოლუციის პერიოდში ანდრეი რუბლოვისა და სხვა ცნობილ ხატმწერთა უძვირფასესი ხატები განადგურებას გადაარჩინა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის უნივერსიტეტებში უკვე მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული მაღალ სამეცნიერო დონეზე ისწავლებოდა ქართველოლოგია, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საოცრად განელდა ინტერესი ქართული ენისა და კულტურისადმი. დასავლეთში, პირიქით, ამავე პერიოდში იმატა ქართველოლოგიით დაინტერესებამ. რუსეთის უნივერსიტეტებში თითქმის არ მოიძებნება კათედრა, რომელიც ამ დისციპლინას სწავლობდეს, თუმცა, ნიკო მარისა და ალექსანდრე ცაგარელის ფუნდამენტურ შრომებზე დაყრდნობით, თავისუფლად შეიძლებოდა შესაბამის კათედრაზე სერიოზული კვლევის წარმოება.

ნიკო მარი ოციან და ოცდაათიან წლებში სათავეში ედგა საბჭოთა ჰუმანიტარულ მეცნიერებებს. განსაკუთრებით ფასდაუდებელია მისი ღვაწლი შედარებითი ენათმეცნიერების საქმეში. მარის მემკვიდრეობა 1200 წიგნსა და სამეცნიერო სტატიას მოიცავს. მისი ერთ-ერთი მოსწავლე, პროფესორი ა. ფრეიდენბერგი წერდა: "ნიკოლაი იაკოვლევიჩი ყველას გვირჩევდა ქართული ენის შესწავლ ა, რასაც განსაკუთრებულ მნიშვნელ ას ანიჭებდა შედარებითი ენათმეცნ ებისთვის. მე მოგვიანებით ჩავწვდი, თუ რა ედო საფუძვლად მის მოსაზრებას."

ზვიად გამსახურდიამ ღრმად შეისწავლა ნიკო მარის მოღვაწეობა. მისი უმდიდრესი მემკვიდრეობის სიღრმემ და უტყუარმა სამეცნიერო ღირებულებამ გამსახურდია დაარწმუნა იმაში, რომ ქართველოლოგიისადმი ინტერესის დაკარგვა არამც და არამც არ იყო განპირობებული მეცნიერული თვალსაზრისით. ეს იყო სტალინის პოლიტიკურად მოტივირებული ინტერვენციის შედეგი.

სტალინს თვალში ეკალივით ესობოდა კავკასიის რეგიონის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამიტომ ყოველმხრივ ცდილობდა, დაეკნინებინა ნიკო მარის მეცნიერული საქმიანობა და მისი კვლევის საგანი წვრილმან, უმნიშვნელო მოვლენად წარმოეჩინა. ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ საბჭოთა მეცნიერებს კარგა ხნით "დაეკარგათ" გამოჩენილი ენათმეცნიერის შრომების შესწავლის ხალისი. ზვიად გამსახურდია ცდილობდა ნიკო მარის რეაბილიტაციას. ის თავის საჯარო ლექციებში ხშირად საუბრობდა მარის ლინგვისტური თეორიების შესახებ, რომლის თანახმად, მონათესავე ენების ჯაჭვი პირინეიდან, კავკასიის გავლით, ინდოეთამდე აღწევდა. ამ ენებს მარი, თავის მიერ დამკვიდრებული ტერმინის თანახმად, "იაფეტურ ენებს" უწოდებდა. ამერიკელი ჰ. ჯონსტონის კვალად, ის იზიარებდა თეზას ბასკურ-კავკასიურ-დრავიდური კულტურის გლოტოგონიური ფუნომენის შესახებ.

ნიკო მარის დიდი თაყვანისმცემელი იყო რუსი ფილოსოფოსი და ბერძენოლოგი, პროფესორი ალექსანდრე ლოსევი. ის კარგად იცნობდა მეთორმეტე საუკუნეში გელათის აკადემიაში მოღვაწე ქართველი მოძღვრის და ფილოსოფოსის - იოანე პეტრიწის შრომებს. მან რუსულ ენაზე თარგმნა პეტრიწის კომენტარები პროკლესა და არისტოტელეს შრომებზე. აზროვნების სიღრმითა და ბრწყინვალებით გამორჩეულ იოანე პეტრიწის შრომებს მხოლოდ ალანუს კუნძულელის, ალბერტ დიდის, ან თომას აქვინელის მემკვიდრეობა თუ შეედრება. 1990 წელს გამსახურდიამ წაიკითხა საჯარო ლექცია - "გელათის აკადემიის სულიერი იდეალები", სადაც იოანე პეტრიწის შესახებ ისაუბრა. ლექციას ლოსევიც ესწრებოდა.

ერთ-ერთი საუბრის დროს ზვიად გამსახურდიამ ლოსევს სოლოვიოვის შრომებზე ჩამოუგდო საუბარი, რადგან ლოსევი სოლოვიოვს იკვლევდა და ერთადერთი ნაშრომი, რომელიც საბჭოთა პერიოდში გამოიცა ამ დიდი მისტიკოსისა და ფილოსოფოსის შესახებ, სწორედ მას ეკუთვნოდა. ლოსევმა ღიმილით უპასუხა გამსახურდიას: "სოლოვიოვი ვერ გაუტოლდება ისეთ ფილოსოფოსს, როგორიც პეტრიწია." შემდეგ ეი აღნიშნა, რომ წინა დღეს გელათში იყო და ლოცვაში მიმართა პეტრიწს: "მამაო იოანე, ევედრე ღმერთს ჩემთვის."

ეს იყო ურთიერთპატივისცემის გამომხატველი თავაზიანობა, კეთილშობილური ჟესტი - ქართველმა რუსთან საუბარი სოლოვიოვზე წარმართა, ხოლო რუსმა ქართველთან პეტრიწისადმი თაყვანისცემა გამოხატა.

ლოსევის გარდა, ზვიად გამსახურდია პატივს სცემდა ლევ რეგელსონს, მღვდლებს გლებ იაკუნინს და ბარსანოფი ხაიბულინს. ღრმად მორწმუნე რეგელსონმა, ვინც წლების მანძილზე სოლჟენიცინის პირადი მდივანი გახლდათ, საქართველოში ერთ-ერთი სტუმრობისას მონასტრის დაარსებაც კი შესთავაზა ზვიად გამსახურდიას, სადაც მათთან ერთად იცხოვრებდნენ და იღვაწებდნენ გლები და ბარსანოფი. მაგრამ ამაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა, ვინაიდან არც უშიშროების კომიტეტი, არც წოთელი სამღვდელოება, მეტადრე საქართველოში, არ დაუშვებდნენ თავისუფალი მონასტრის არსებობას.

ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულება რუსეთთან, როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ ასპექტში, მტკიცე თანმიმდევრულობით გამოირჩეოდა. მისმა ერთმა მოსკოველმა ნაცნობმა 1994 წლის თებერვალში შვეიცარიაში პრეზიდენტის ხსოვნისადმი მიძღვნილ სალამოზე სამართლიანად შენიშნა: "არც ერთ დისიდენტს ყოფილ საბჭოთა კავშირში არ გაუკეთებია იმდენი რუსეთის გასათავისუფლებლად ივანე მრისხანეს, პეტრე პირველის, ლენინის და სტალინის მემკვიდრეობისგან, რამდენიც ზვიად გამსახურდიას."

გერმანულიდან თარგმნა
თამარ იაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

TAVISUPALI SAKARTVELO
(FREE GEORGIA)
№ 24 (in brief)
2 - 8 July 1996

To the Parliaments of the World Countries
To the International Organizations
To the World Mass Media
To all People of Goodwill

Appeal

of the Citizens of Georgia, Representatives of Political and Public Organizations

Today the whole civilized world is fighting to abolish such inhuman procedure as the death punishment.

In contrast to this the number of death sentences in Georgia increased. Recently the increasingly marked trend to pronounce the death verdict to political opponents basing on such general charges as high treason (Article 65 of the Criminal Code of Georgia) is evident. The authorities of Georgia are progressively violating universally recognized civil human rights, the number of cases of exposure of people to particular violence and injustice is dramatically increase; the vicious practice of violation of the lawful rights of the defendants using the investigation bodies and Court authorities is also established in Georgia.

On the background of these problems the Court verdict becomes the instrument to settle scores with the persons undesirable to the authorities rather than justly pronounced sentence.

We, the representatives of the society and political organizations of Georgia appeal to everybody to whom the values and principles of justice common to the all mankind and demand:

Death Penalty should be abolished in Georgia!

Stop without Delay Execution of all Death Penalties!

We appeal to all people of goodwill to join our demand to effect the authorities of Georgia to abolish this inhuman procedure.

Sergei Kovalev Demands to Pardon Badri Zarandia

Dear Mr. Shevardnadze,

As it became known to us, on June 17 the death verdict was pronounced to the former military commandant of Zugdidi Mr. Badri Zarandia. At the same Court Hearing another 3 defendants were sentenced to the long-term imprisonment. At the same time the Case of all six defendants including Badri Zarandia's was returned to reinvestigation. According to the information available to me Badri Zarandia was sentenced to death basing on Articles 65 (high treason) and 78 (bandit actions) of the Criminal Code of the Republic of Georgia. At the same time the charges brought by the Article 78 were returned to reinvestigation together with charges envisaged by Article 104 (felonious homicide).

To my knowledge we can suppose that in the course of investigation the Law was not adequately observed. It became also known to me that Badri Zarandia;s physical state is extremely severe and for a long time he was deprived of necessary medical aid.

I would like to focus your attention to the fact that the European Council the member of which in the nearest future hopefully will become Georgia persistent demands to abolish death penalty in all countries - members of the European Council.

So I appeal to you with pressing request not to allow the execution of death verdict.

At the same time I appeal to you with request to pardon Irakli Dokvadze and Petre Gelbakhiani condemned to death on March 8, 1995.

The Deputy of the State Duma
S.A. Kovalev

Prosecutor's Office and Court Authorities Represent the Violence Instrument of the Occupational Regime

Interview with the Political Prisoner Bidzina Gujabidze

Bidzina Gujabidze born in 1956, lawyer by profession, was working as a head of the Prefect's Office of Lanchkhuti Region until the legal authorities were overthrown. In 1993 after a short-term restoration of the lawful authorities in West Georgia the President Zviad Gamsakhurdia appointed him a head of administration of the Lanchkhuti region. He was arrested on January 1994. After two years of keeping him in jail he was sentenced to 10 year of imprisonment. Presently he is servicing his term in #1 Rustavi Colony.

Bidzina Gujabidze: "After second overthrow of the lawful authorities I was staying in the village of Sartichala, in the family of my father-in-law. His neighbor, who is the staff member of KGB Mr. N. Chaduneli together with his colleagues captured me without presenting any arrest warranty. I was placed in the Military Commandant Office in Tbilisi. In the period of the preliminary investigation the Prosecutor's Office made several versions of charges to be brought against me and finally two years later "discovered" that I was a traitor and bandit. I consider the fact of putting to trial the representatives of the lawful authorities and their supporters by the putschists as a poor attempt to transfer the most serious crimes committed by them against the Georgian people to us.

The Supreme Court transferred the Court Hearing to Lanchkhuti. The judge L. Sadzaglishvili explained such decision by difficulties caused by transportation of numerous witnesses to Tbilisi. Nevertheless, the Court Board interrogated only those witnesses who were chosen by the Prosecution and even so, their testimonies only confirmed the unlawfulness and groundless nature of the charges. In reality by transferring the Court hearing from the capital to the province the actual authorities made an attempt to hide from the society the obvious unlawfulness of the investigation which would inevitable become evident in the course of Court Hearing.

By the way, I suppose may be I should be even thankful for my arrest and the fact that I was put to trial in Lanchkhuti. This gave me the opportunity to regularly meet the residents of my region in the hall of the cinema where the Court hearing was going on, and for two months period to hold many rallies which otherwise the factual authorities would never allow during my being free.

Corespondent: Tell us briefly about the Court Investigation, please.

B.G. - Like the investigations and Court hearings of other political cases mine also was conducted with rough violations of the Code of Practice. It will take quite a time to list them all, though I have recorded all of them. I will rather stress some moments: for a year and a half I was kept under the arrest without any warranty, and then for some reasons unknown the investigation included into the materials of my case the arrest warranty given on the name of some other person of Ozurgeti Region. There were multiple cases of falsification of the materials of the preliminary investigation. By the way, irrespective of my demand I was not allowed to get familiar with the Protocols of the Court Sessions. I suspect that they also contain a lot of falsifications, the verdict also invites such suspicion. The judge Sadzaglishvili successfully combined the job of Prosecution and the judge.

Corespondent: A noteworthy trend became evident in the course of the Court Hearings: the majority of charges are of general, unspecified nature.

B.G. - You are right, the tradition did not change in my case either. Moreover, these unlawful charges not only lack any specificity, they are not even personified. It will suffice to recall the famous story about the cow for the slaughter of which are accused whole national political and military elite. Though if by any chance the Prosecutor's Office could have interrogate the poor late animal (of which as we have been convinced it is quite capable) who knows may be this innocent victim would have accused the aviation of the junta.

Correspondent: As we know, the resident of Ozurgeti Region Mr. Mirian Khintibidze was put to trial under similar charges.

B.G. - The Court hearing of Mirian was as unlawful as mine. He is the representative of the lawful authorities; his only "crime" is that he remained faithful to oath given to the President and Georgia people and refused to sign the repentance paper offered to him by the Prosecutor's Office.

He was also sentenced to 10 year imprisonment and presently he is servicing his term in #2 Rustavi Colony.

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 0441
იბეჭდება ს/ს კეგელში

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia